

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი (შემდგომ – კვლევითი ცენტრი) იქმნება საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების და პარლამენტის მიერ საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციების შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

2. კვლევითი ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. კვლევითი ცენტრის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

4. კვლევითი ცენტრის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს პარლამენტი (შემდგომ – პარლამენტი).

5. კვლევით ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები (მათ შორის, სავალუტო ანგარიშები) სახელმწიფო ხაზინასა და საბანკო დაწესებულებაში, სიმბოლიკა, ბეჭედი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და კვლევითი ცენტრის დასახელებით, შტამპი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. კვლევითი ცენტრის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №8.

მუხლი 2. კვლევითი ცენტრის საქმიანობის მიზანი, ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

1. კვლევითი ცენტრის საქმიანობის მიზანია პარლამენტის წევრებისათვის, კომიტეტებისათვის, ფრაქციებისათვის, უმრავლესობისათვის, უმცირესობისათვის, დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიებისათვის, ინტერფრაქციული ჯგუფისათვის, მუდმივმოქმედი საბჭოებისა და სახელმწიფო კომისიებისათვის (შემდგომ – საპარლამენტო სუბიექტები), აგრეთვე პარლამენტის აპარატისათვის კანონშემოქმედებით პროცესში, კონტროლის განხორციელებასა და პოლიტიკის აღსრულებაში დახმარების გაწევა.

2. კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) პროფესიონალიზმი;
- ბ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- გ) ეფექტიანი კომუნიკაცია;
- დ) დროის ეფექტიანი მართვა.

3. კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საპარლამენტო სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვებზე/შეკითხვებზე პასუხებისა და მათთან დაკავშირებული საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება;

ბ) პროაქტიული საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს პარლამენტისა და საპარლამენტო სუბიექტების სამოქმედო გეგმებიდან, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებიდან;

გ) პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნა.

მუხლი 3. კვლევითი ცენტრის ფუნქციები

1. ამ დებულებით განსაზღვრული მიზნისა და მიმართულებების განსახორციელებლად კვლევითი ცენტრი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) უზრუნველყოფს საპარლამენტო სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვების/შეკითხვების საფუძველზე საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადებას;

ბ) ამზადებს ანალიტიკურ მასალებს, რომლებიც გამომდინარეობს პარლამენტისა და საპარლამენტო სუბიექტების სამოქმედო გეგმებიდან, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებიდან;

გ) უზრუნველყოფს ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური კვლევის წარმოებას და განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნას;

დ) ამზადებს ანალიტიკურ მიმოხილვებს (მათ შორის, შედარებით მიმოხილვებს) მიმდინარე აქტუალურ თემებზე, რომლებიც შეეხება საჯარო პოლიტიკის საკითხებს;

ე) ორგანიზებას უწევს სემინარებისა და პრეზენტაციების გამართვას, რომლებშიც მონაწილეობენ პარლამენტის, შესაბამისი აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები; უზრუნველყოფს აქტუალურ თემებზე საჯარო დისკუსიებისა და კონფერენციების გამართვას; თანამშრომლობს სხვა კვლევით ცენტრებთან, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ვ) უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროში არსებული კვლევებისა და დოკუმენტაციის მოძიებას და შესაბამისი ბაზის შექმნას;

ზ) უზრუნველყოფს ექსპერტთა/მკვლევართა ბაზის შექმნას.

2. კვლევითი ცენტრი საპარლამენტო სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვებზე/შეკითხვებზე პასუხებისა და მათთან დაკავშირებული საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადებას უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართვიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3. კვლევითი ცენტრი ანალიტიკურ მასალებს, რომლებიც გამომდინარეობს პარლამენტისა და საპარლამენტო სუბიექტების სამოქმედო გეგმებიდან, აგრეთვე

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებიდან, ამზადებს კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

4. პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი იქმნება კვლევითი ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილების ან/და კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 6 თვის ვადაში.

5. კვლევითი ცენტრის მიერ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტები, გარდა ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ მისთვის კონფიდენციალურად მიწოდებული კითხვების საფუძველზე მომზადებული დოკუმენტებისა, საჯაროა.

მუხლი 4. კვლევითი ცენტრის დარგობრივი მიმართულებები

კვლევითი ცენტრი საქმიანობას ახორციელებს დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით, შემდეგი მიმართულებებით:

- ა) სოციალურ საკითხთა მიმართულება;
- ბ) ეკონომიკურ საკითხთა მიმართულება;
- გ) საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულება;
- დ) იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა მიმართულება;
- ე) თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა მიმართულება.

მუხლი 5. კვლევითი ცენტრის დირექტორი

1. კვლევითი ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს კვლევითი ცენტრის დირექტორი, რომელსაც კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე.

2. კვლევითი ცენტრის დირექტორის კანდიდატურას ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო.

3. კვლევითი ცენტრის დირექტორის კანდიდატურა შეირჩევა გამარტივებული კონკურსის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კვლევითი ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კონკურსი ცხადდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

4. კვლევითი ცენტრის დირექტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე; მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, სულ მცირე მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვლევითი საქმიანობის, დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობისა და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; მან უნდა იცოდეს ინგლისური ენა.

5. კვლევითი ცენტრის დირექტორის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობებისა.

6. კვლევითი ცენტრის დირექტორი მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს და პერსონალურად აგებს პასუხს კვლევითი ცენტრის საქმიანობისათვის, აგრეთვე კვლევითი ცენტრის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვისა და ფულადი სახსრების მიზნობრივი ხარჯვისათვის.

7. კვლევითი ცენტრის დირექტორი:

ა) ახორციელებს კვლევითი ცენტრის მართვასა და წარმომადგენლობას;

ბ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) ახორციელებს კვლევითი ცენტრის საერთო ხელმძღვანელობას და აწესრიგებს მისი მმართველობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კვლევითი ცენტრის სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომლებს;

ე) კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს უნაწილებს მოვალეობებს, აძლევს სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს მათ მიერ მოვალეობების შესრულებას;

ვ) კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს კვლევითი ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ზ) კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით პარლამენტის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს კვლევითი ცენტრის დებულებას, კვლევითი ცენტრის სამტატო ნუსხას და კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;

თ) უფლებამოსილია კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

ი) ამტკიცებს კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მათ სამუშაოთა აღწერილობებს;

კ) ამტკიცებს კვლევითი ცენტრის შინაგანაწესს;

ლ) ამტკიცებს სტუდენტების მიერ კვლევით ცენტრში პრაქტიკის გავლის წესს და აფორმებს მემორანდუმებს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. კვლევითი ცენტრის დირექტორი თანამდებობიდან თავისუფლდება:

ა) თუ შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) თუ სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) თუ დაიკავა მის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა მის თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) თუ გადადგა თანამდებობიდან;

ვ) თუ გარდაიცვალა;

ზ) კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე, თუ სამეთვალყურეო საბჭომ კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიში არადადამაკმაყოფილებლად ცნო.

მუხლი 6. კვლევითი ცენტრის ადმინისტრაცია

1. კვლევით ცენტრს ჰყავს ადმინისტრაცია.

2. კვლევითი ცენტრის ადმინისტრაცია ახორციელებს კვლევითი ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას.

3. ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კვლევითი ცენტრის დირექტორი.

4. ადმინისტრაციის უფროსი ასრულებს კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

მუხლი 7. კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო

1. კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 9 წევრისგან. კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის აპარატის უფროსი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენ წევრებს (4 წევრს – უმრავლესობის წევრთაგან, 3 წევრს – უმცირესობის წევრთაგან, დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთაგან და იმ ფრაქციების წევრთაგან, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში, ხოლო უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – ფრაქციების წევრთაგან და იმ პარლამენტის წევრთაგან, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში) წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

2. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე.

3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს;

ბ) ორგანიზებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას;

გ) მეთვალყურეობს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ უნდა გაიმართოს არანაკლებ წელიწადში 1 სხდომისა. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

6. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

7. სამეთვალყურეო საბჭო კვლევითი ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს კვლევითი ცენტრის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

მუხლი 8. კვლევითი ცენტრის მრჩეველთა საბჭო

1. კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით იქმნება კვლევითი ცენტრის მრჩეველთა საბჭო.

2. კვლევითი ცენტრის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას კვლევითი ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს კვლევითი ცენტრის დირექტორი.

მუხლი 9. კვლევითი ცენტრის ქონება და დაფინანსების წყაროები

1. კვლევით ცენტრს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად აქვს ქონება.

2. კვლევითი ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სახელმწიფო გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. კვლევითი ცენტრის მიერ მიღებული სახსრები და სხვა შემოსავლები მთლიანად ხმარდება მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას.

მუხლი 10. კვლევითი ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

კვლევითი ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილება ან დამატება შეიტანება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.